# საქართველოს კანონი

## საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (პარლამენტის უწყებანი, №31, 24 ივლისი, 1997, გვ. 1) 38-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი ფორმის შეცვლით იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნება.“;

ბ) პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $1^1$ ნაწილი:

„$1^1$. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციისათვის/ რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პარლამენტის**
**თავმჯდომარე** **დავით უსუფაშვილი**

**ქუთაისი,**

**30 მაისი 2013 წ.**

**N651-IIს**